ხელშეკრულება №142

ქ. ბათუმი 19 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი საფინანსო სამსახურის უფროსის მერაბ ჯოჯუას სახით და მეორეს მხრივ, შპს "ფლაგ არტი" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის რომანი დარჩიაშვილის სახით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებას. CPV 358 210 00

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის 2015 წლის 9-11 სექტემბერს დაგეგმილ კონფერენციებთან დაკავშირებით დროშების მოწოდების სახელმწიფო შესყიდვა დანართი N1–ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3645 (სამიათასექვსასორმოცდახუთი ლარი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის საბიუჯეტო სახსრებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 საქონლის მიწოდება და ანგარიშსწორება იწარმოებს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების და მისი ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის (ზედნადები, ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან და მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადები

5.1. საქონლის მიწოდების ადგილად ითვლება ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 8–10.
5.2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების დადების დღიდან 2015 წლის 5 სექტემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მისაწოდებელი საქონლის ხარისხის კონტროლი და ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3. შემსრულებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. შემსრულებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საფინანსო სამსახურის მრჩეველი - მიხეილ არქანია.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების, აგრეთვე მისაწოდებელი საქონლის ხარისხის (ფასის) კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან), ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.4 დანართი N1 თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველის რეკვიზიტები

სახელწოდება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 8–10
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203840175
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
ტელეფონის ნომერი: 27 66 49

საფინანსო სამსახურის უფროსი: მერაბ ჯოჯუა

მიმწოდებლის რეკვიზიტები:

ორგანიზაციის დასახელება: შპს „ფლაგ არტი"
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. N40
საიდენტიფიკაციო კოდი: 206 160 018
მომსახურე ბანკის დასახელება: ს.ს „ საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE72 BG00 00000 89435 6101
ტელეფონის ნომერი: 599 57 38 56

შპს „ფლაგ არტი"–ს დირექტორი: რომან

ხელშეკრულება N142 19.08.2015 დანართი N1

შპს „ფლაგ არტი“

N	საქონლის დასახელება	ზომა (სმ)	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება	CPV კოდი
1	გერმანიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
2	ავსტრიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
3	იტალიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
4	შვეიცარიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
5	ესპანეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
6	პორტუგალიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
7	საფრანგეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
8	თურქეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
9	ბელგიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
10	პოლონეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
11	უნგრეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
12	კვიპროსის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
13	ხორვატიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
14	რუმინეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
15	სლოვენიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
16	ანდორის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
17	რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
18	ბულგარეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
19	ლიხტენშტეინის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
20	ლიტვის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
21	მაკედონიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00

22	მალტის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
23	სლოვაკეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
24	ჩეხეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
25	ალბანეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
26	სომხეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
27	აზერბაიჯანის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
28	ბოსნია და ჰერცოგოვინას სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
29	ლატვიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
30	ლუქსემბურგის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
31	მოლდოვის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
32	უკრაინის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
33	ესტონეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
34	ირლანდიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
35	ნორვეგიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
36	დანიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
37	მონტენეგროს სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
38	სერბეთის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
39	მონაკოს სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
40	ჰოლანდიის სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
41	საქართველოს სახელმწიფო დროშა	100X150	1	65,0	65,0	358 210 00
42	გერმანიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
43	ავსტრიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
44	იტალიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
45	შვეიცარიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
46	საფრანგეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00

47	ბელგიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
48	პოლონეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
49	უნგრეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
50	კვიპროსის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
51	ხორვატიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
52	რუმინეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
53	სლოვენიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
54	რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
55	ბულგარეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
56	ლიხტენშტეინის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
57	ლიტვის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
58	მაკედონიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
59	მალტის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
60	სლოვაკეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
61	ჩეხეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
62	ალბანეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
63	სომხეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
64	აზერბაიჯანის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
65	ბოსნია და ჰერცოგოვინას სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
66	ლატვიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
67	მოლდოვის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
68	უკრაინის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00

9	ესტონეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
70	ნორვეგიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
71	დანიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
72	მონტენეგროს სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
73	სერბეთის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
74	ჰოლანდიის სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
75	საქართველოს სახელმწიფო დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
76	ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დროშა სადგამით	15X23	2	14.0	28.0	358 210 00
	ჯამი:				3645.0	

შპს „ფლაგ არტის" დირექტორი: რომანი დარჩიაშვილი

Flag Art